საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-3/4183
27/04/2023

4183-15-3-2-202304271707

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ რატი ბრეგაძეს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

მსჯავრდებულ [redacted] მიმოწერის უფლების დარღვევის ფაქტებზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო რატი,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, წლების განმავლობაში საუბრობს პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიმოწერის უფლების რეალიზების პრობლემაზე. აპარატმა არაერთხელ გამოავლინა ინდივიდუალურ შემთხვევებში კორესპონდენციის გაგზავნის უფლებისა და მიმოწერის კონფიდენციალურობის დარღვევის ფაქტები, რომლებიც სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ აპარატის მიმართვის საფუძველზე დადასტურდა.[1]

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა კიდევ ერთი საქმე, რომლის შედეგადაც მსჯავრდებულის მიმოწერის უფლების დარღვევის რამდენიმე ეპიზოდი გამოიკვეთა.

---

[1] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2020, 157.
საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021, 129.
საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2020 წლის ანგარიში, 2021, 59.
საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში, 2022, 108.

საქართველო, თბილისი 0102, დავით აღმაშენებლის გამზირი N80,
ცხელი ხაზი: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge
80 David Agmashenebeli Avenue, Tbilisi 0102, Georgia,
Hotline: 1481 (24/7); www.ombudsman.ge; E-mail: info@ombudsman.ge

ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოს სახალხო დამცველს ხშირად მიმართავს N6 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებული [redacted], რომელიც აცხადებს, რომ დაწესებულების ადმინისტრაცია არ უზრუნველყოფს მისი კორესპონდენციის გაგზავნას მითითებულ ადრესატებთან და ამდენად, ირღვევა მისი უფლებები.

[redacted] სხვადასხვა დროს, სახალხო დამცველის რწმუნებულთან გასაუბრებისას და სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე, რამდენიმე ასეთი ფაქტის შესახებ მიუთითა. კერძოდ:

მსჯავრდებულის მტკიცებით, 2022 წლის 22 ნოემბერს სოციალურ მუშაკს გაგზავნის მიზნით გადასცა საქართველოს პარლამენტის [redacted] სახელზე შედგენილი კორესპონდენცია; 2023 წლის 26 იანვარს N119918 კონფიდენციალური განცხადება - საქართველოს [redacted] და N119916 კონფიდენციალური განცხადება - საქართველოს [redacted] სახელზე; 2023 წლის 30 იანვარს N119905 და N119936 კონფიდენციალური განცხადებები - საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატასა და აჭარისა და გურიის რეგიონის აღსრულების ბიუროში გაგზავნის მიზნით; 2023 წლის 1 თებერვალს N119906 და N119937 კონფიდენციალური კორესპონდენცია - საქართველოს პარლამენტის კანცელარიასა და სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გაგზავნის მიზნით; 2023 წლის 13 თებერვალს - განცხადება სახალხო დამცველის [redacted] [redacted] სახელზე.

[redacted] თქმით, მოთხოვნის მიუხედავად, ხსენებული კორესპონდენციების ასლები და მათი გაგზავნის სარეგისტრაციო ნომრები არ მიუღია.

ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა მიმართა[2] N6 პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციას, საიდანაც აპარატს ეცნობა, რომ მსჯავრდებულ [redacted] 2022 წლის 22 ნოემბერს და 2023 წლის 26 იანვარს სოციალური მუშაკისთვის გასაგზავნად, არანაირი კორესპონდენცია არ მიუწოდებია.[3]

გარდა ამისა, [redacted] სახალხო დამცველის რწმუნებულთან გასაუბრებისას წარმოადგინა N6 პენიტენციური დაწესებულების 2023 წლის 13 თებერვლის N39302/01 წერილი, რომლითაც მას ეცნობა, რომ N119906, N119905, N119936 და N119937 კორესპონდენცია არ იძებნებოდა.

ამასთან, 2023 წლის 22 თებერვალს სახალხო დამცველის რწმუნებული გაესაუბრა N6 პენიტენციური დაწესებულების კანცელარიის უფლებამოსილ თანამშრომელს, რომლის

---

[2] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 19 დეკემბრის N 15-3/12660. 2023 წლის 15 თებერვლის N 15-3/1675 და 2023 წლის 15 თებერვლის N 15-3/1674 წერილები.

[3] N6 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 22 დეკემბრის № 372301/01, 2023 წლის 20 თებერვლის № 46938/01 და 2023 წლის 20 თებერვლის № 46804/01 წერილები.

განმარტებითაც, [redacted] 2023 წლის 13 თებერვლის კორესპონდენცია არ იძებნებოდა.

[redacted] პრეტენზიის გადამოწმების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა სამეთვალყურეო ვიდეოკამერების ჩანაწერების რელევანტური დროის პერიოდის დაარქივება მოითხოვა,[4] რაც დაკმაყოფილდა.[5]

2023 წლის 10 თებერვალს და 2023 წლის 22 მარტს, სახალხო დამცველის რწმუნებულმა სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში დაათვალიერა დაარქივებული ვიდეომასალა. დათვალიერების შედეგად, ირკვევა შემდეგი:

22 ნოემბრის ეპიზოდი

მსჯავრდებული [redacted] იმყოფება საკანში. 11:50 საათზე, იგი მიდის საკნის კარებთან, საპირისპირო მხრიდან კი დგანან დაწესებულების უნიფორმაში ჩაცმული მამაკაცი და სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული ქალი, სავარაუდოდ, სოციალური მუშაკი. ეს უკანასკნელი [redacted] აწვდის სავარაუდოდ, კონვერტს, რის შემდეგად, ფურცელზე, სავარაუდოდ ხელს აწერინებს მას. 11:52 საათზე, სოციალური მუშაკი პატიმარს აწვდის დოკუმენტებს და კვლავ, სავარაუდოდ, ხელს აწერინებს ფურცელზე. 11:54-11:55 საათზე, [redacted] საკანში განთავსებული მაგიდიდან იღებს თაბახის ფურცლებს და სათითაოდ, სულ 7 თაბახის ფურცლის დემონსტრირებას ახდენს საკანში განთავსებული ვიდეოკამერის წინ. შემდეგ კი, აღნიშნულ ფურცლებს, სათითაოდ აწვდის სოციალურ მუშაკს. ამ უკანასკნელმა პატიმარს გამოართვა ხსენებული ფურცლები და წაიღო.

26 იანვრის ეპიზოდი

[redacted] იმყოფება საკანში. 11:17 საათზე, საკნის კარებში დატანილი საკვებურიდან სავარაუდოდ, სოციალური მუშაკი, რომელსაც თან ახლავს დაწესებულების უნიფორმაში ჩაცმული მამაკაცი, პატიმარს აწვდის ფურცლებს. 11:20 საათზე, [redacted] საკანში მდებარე სკამიდან იღებს 2 ცალ დახურულ კონვერტს (ე. წ. მწვანე კონვერტს) და თაბახის ფურცელს, რომელთა დემონსტრირებასაც ახდენს საკანში განთავსებული სამეთვალყურეო ვიდეოკამერების წინ და შემდეგ, აწვდის სოციალურ მუშაკს. 11:22 საათზე, სოციალური მუშაკი პატიმარს აწვდის 2 ცალ დახურულ კონვერტს და თაბახის ფურცელს, რომელსაც ეს უკანასკნელი დებს საწოლზე. ამით სოციალურ მუშაკთან პატიმრის კომუნიკაცია სრულდება.

12:12 საათზე, [redacted] იღებს სოციალური მუშაკის მიერ მისთვის გადაცემულ დახურულ კონვერტებს, რომლებიც არის გახსნილ მდგომარეობაში და სავარაუდოდ, არის

---

[4] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 15 დეკემბრის N 15-3/12501, 2023 წლის 8 თებერვლის N 15-3/1350 და 2023 წლის 27 თებერვლის N 15-3/2062 წერილები.

[5] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2022 წლის 21 დეკემბრის №371371/01, 2023 წლის 16 თებერვლის №43491/01 და 2023 წლის 9 მარტის №63184/01 წერილები.

ახალი. პატიმარი კონვერტებს ახევს კონვერტის შიგნით არსებულ სუფთა ფურცელს, შემდეგ კეცავს და დებს საწოლზე.

30 იანვრის ეპიზოდი

11:35 საათზე, [redacted] იღებს 2 ცალ დახურულ კონვერტს და თაბახის ფურცელს, რომელთა დემონსტრირებასაც ახდენს საკანში განთავსებული სამეთვალყურეო ვიდეოკამერების წინ. შემდეგ დოკუმენტებს დებს საკანში განთავსებულ სკამზე, იმგვარად, რომ კორესპონდენცია ვიდეოკამერების უწყვეტი თვალთახედვის არეალშია მოქცეული. 11:37 საათზე, საკვებურიდან სოციალური მუშაკი პატიმარს აწვდის თაბახის ფურცლებს, ასევე, აწვდის დახურულ კონვერტებს, რომლებსაც პატიმარი ალაგებს სკამზე. 11:39 საათზე, [redacted] იღებს სკამზე მანამდე მის მიერ დადებულ დახურულ კონვერტებს, კვლავ ახდენს მათ დემონსტრირებას ვიდეოკამერების წინ და შემდეგ აწვდის სოციალურ მუშაკს (მასთან ერთად იმყოფება დაწესებულების უნიფორმაში ჩაცმული მამაკაცი). ეს უკანასკნელი იღებს მიწოდებულ კორესპონდენციას და მიდის. ამის შემდეგ, [redacted] სოციალური მუშაკის მიერ მიწოდებულ დახურულ კონვერტებს, რომლებიც არის გახსნილ მდგომარეობაში და სავარაუდოდ, არის ახალი, იღებს, ახევს კონვერტის შიგნით არსებულ სუფთა ფურცელს და დებს საწოლზე.

1 თებერვლის ეპიზოდი

11:33 საათზე, [redacted] საკანში არსებული სკამიდან იღებს 2 ცალ დახურულ კონვერტს და თაბახის ფურცლებს და ახდენს მათ დემონსტრირებას საკანში არსებული სამეთვალყურეო ვიდეოკამერების წინ. 11:34 საათიდან ესაუბრება სოციალურ მუშაკს, რომელსაც თან ახლავს დაწესებულების უნიფორმაში ჩაცმული მამაკაცი. 11:37 საათზე, სოციალური მუშაკი პატიმარს აწვდის თაბახის ფურცლებს და დახურულ კონვერტებს, რომლებსაც იგი ალაგებს სკამზე. 11:39 საათზე, პატიმარი სკამიდან იღებს 2 ცალ დახურულ კონვერტს და თაბახის ფურცელს, რომელთა დემონსტრირებაც მანამდე მოახდინა, ისევ მიმართავს ხსენებული კორესპონდენციის დემონსტრირებას და აწვდის სოციალურ მუშაკს. ეს უკანასკნელი იღებს მიწოდებულ კორესპონდენციას და მიდის. 12:12 საათზე, [redacted] იღებს სოციალური მუშაკის მიერ მიწოდებულ დახურულ კონვერტებს, რომლებიც არის გახსნილ მდგომარეობაში და სავარაუდოდ, არის ახალი, ახევს კონვერტის შიგნით არსებულ სუფთა ფურცელს და დებს საწოლზე.

13 თებერვლის ეპიზოდი

12:17 საათზე, სოციალური მუშაკი (თან ახლავს დაწესებულების უნიფორმაში ჩაცმული მამაკაცი) [redacted] საკვებურიდან აწვდის დოკუმენტებს. პატიმარი ალაგებს მათ სკამზე და სავარაუდოდ, ხელმოწერას აკეთებს მათზე. შემდეგ იღებს ამ დოკუმენტებს და ასევე, სხვა თაბახის ფურცლებს, რომლებიც მანამდე, თვალსაჩინოდ ელაგა სკამზე, ახდენს მათ დემონსტრირებას ვიდეოკამერების წინ და 12:20 საათზე, აწვდის სოციალურ მუშაკს. ეს უკანასკნელი იღებს მიწოდებულ დოკუმენტებს, თვითონაც აწვდის პატიმარს სუფთა თაბახის ფურცლებს და მიდის.

სამართლებრივი დასაბუთება

ადამიანის პირადი ცხოვრება კონსტიტუციური რანგისაა და მასში ჩარევა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.[6] ადამიანის პირადი ცხოვრება ფართო კონცეფციაა და შედგება არაერთი უფლებრივი კომპონენტისგან, მათ შორის, ჰქონდეს გარე სამყაროსთან კომუნიკაცია, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე ინფორმაციის გაცვლისა და გაზიარების უფლება.[7]

ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-8 მუხლით დაცულია ადამიანის პირადი ცხოვრების უფლება, რათა სახელმწიფოს მხრიდან უკანონო ქმედებისგან დაიცვას ინდივიდი, რაც განმარტებულია, როგორც სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულება. ეს კი სახელმწიფოს ავალდებულებს, არა მარტო არ ჩაერიოს პირის პირად ცხოვრებაში, არამედ, შექმნას სათანადო პირობები კონვენციით დაცული პირადი ცხოვრების ფართო დიაპაზონის პატივისცემის მიზნით. რასაკვირველია, აღნიშნული უფლება აბსოლუტური ხასიათის არ არის და უფლებაში ჩარევა დასაშვებია წინაპირობების დაცვით, კერძოდ, ჩარევა უნდა იყოს კანონით გაწერილი, ემსახურებოდეს უფლებაში ჩარევის ლეგიტიმურ მიზანს და აკმაყოფილებდეს აუცილებლობის კრიტერიუმს.[8]

საქართველოს პატიმრობის კოდექსით უზრუნველყოფილია ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მიმოწერის უფლება, კერძოდ, მსჯავრდებულს უფლება აქვს შეუზღუდავი რაოდენობით გაგზავნოს და მიიღოს წერილები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.[9] ზოგადი წესით, მსჯავრდებულის წერილი ექვემდებარება შემოწმებას, რომელიც მოიცავს მხოლოდ ვიზუალურ დათვალიერებას შინაარსის გაცნობის გარეშე. მხოლოდ საგამონაკლისო წესით, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ შესაძლოა ინფორმაციის გავრცელებამ საფრთხე შეუქმნას საზოგადოებრივ წესრიგს, უსაფრთხოებას ან სხვა პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც უკიდურესი ზომა, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს დაწესებულების თანამშრომლის მიერ კორესპონდენციის შინაარსის გაცნობა და საჭიროების შემთხვევაში შეზღუდოს მისი ადრესატისთვის გადაგზავნა. კანონი ასევე ითვალისწინებს უფლების სუბიექტის ინფორმირებულობას, ანუ თუკი აღნიშნული პროცედურის დაცვით კორესპონდენცია არ გაიგზავნა ადრესატთან, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს კორესპონდენციის გამგზავნს.[10]

---

[6] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 15, პუნქ. 1.

[7] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის N2/3/406,408 განჩინება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", პუნქტი 15.

[8] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, მუხ. 8, პუნ. 1 და 2.

[9] საქართველოს პატიმრობის კოდექსი, მუხ. 16, ნაწ. 1.

[10] იქვე, ნაწ. 4.

კანონმდებლობა განსაზღვრავს იმ სახელმწიფო უწყებებს, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებთან მიმოწერის შეზღუდვა ან/და შემოწმება დაუშვებელია, კერძოდ, პენიტენციურ დაწესებულებას ეკრძალება, შეაჩეროს ან/და შეამოწმოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის კორესპონდენცია, რომლის ადრესატი ან ადრესანტი არის საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტის წევრი, სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს სამინისტრო, სამსახური, საქართველოს სახალხო დამცველი, ადვოკატი, პროკურორი, სამსახურის ადგილობრივი საბჭო.[11]

N6 პენიტენციური დაწესებულების დებულების მიხედვით, ბრალდებული/მსჯავრდებული გასაგზავნ კორესპონდენციას, გარდა საჩივრის ყუთის საშუალებით გასაგზავნისა, გადასცემს დაწესებულების სოციალურ განყოფილებას, რომელიც უზრუნველყოფს კორესპონდენციის დაწესებულების ადმინისტრაციული განყოფილებისთვის მიწოდებას. დაწესებულების ადმინისტრაციული განყოფილება უზრუნველყოფს წერილობითი ხასიათის განცხადებებისა და მოთხოვნების რეგისტრაციას და არაუგვიანეს მომდევნო დღისა უგზავნის/აცნობს შესაბამის ადრესატს.[12] ამრიგად, ვინაიდან მსჯავრდებულთა მიმოწერა პირადი ცხოვრების უფლებით დაცულ სფეროში ხვდება, სახელმწიფომ უნდა შეასრულოს როგორც ნეგატიური, ასევე პოზიტიური ვალდებულება. კერძოდ, ერთი მხრივ, სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს და პატივი უნდა სცეს ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირად სივრცეს, მათ შორის მიმოწერის უფლებას და არ შეზღუდოს მსჯავრდებულის მიერ კორესპონდენციის მიღება/გაგზავნა, თუკი არ არსებობს კანონით გათვალისწინებული გარემოებები, მეორე მხრივ, პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციას ეკისრება ვალდებულება უზრუნველყოს მსჯავრდებულის კორესპონდენციის გაგზავნა მითითებულ ადრესატთან.

აღნიშნული დებულება, რასაკვირველია, ასევე ითვალისწინებს კორესპონდენციის შემოწმებისა და საჭიროების შემთხვევაში შეჩერების შესაძლებლობას, თუმცა პენიტენციური დაწესებულების დებულებით იგივე პრინციპი ვრცელდება და იკრძალება ნებისმიერი შინაარსის კორესპონდენციის შემოწმება/შეზღუდვა, თუკი ადრესატი/ადრესანტი ზემოაღნიშნული უწყებები არიან. იქიდან გამომდინარე, რომ კორესპონდენციის გაგზავნის/მიღების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ წინაპირობების არსებობისას, კერძოდ, თუკი კონკრეტული ინფორმაციის გავრცელებით საფრთხე შეიძლება შეექმნას სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან სხვათა უფლებების დაცვას, კანონში მითითებულ ადრესატებთან მსჯავრდებულის მიერ კორესპონდენციის გაგზავნა/მიღება გამორიცხავს აღნიშნული საშიშროების რეალიზებას და ამავდროულად,

---

[11] იქვე, ნაწ. 6.

[12] „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №6 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N108 ბრძანება, მუხ. 41, პუნქტ. 9 და 10.

ხელს უწყობს თავისუფლებააღკვეთილი პირის უფლებების დარღვევის პრევენციას ან/და დარღვეული უფლებების აღდგენას.

წინამდებარე საქმის ანალიზი

ამდენად, მსჯავრდებულ [redacted] პრეტენზიის გადამოწმებისა და გამოთხოვილი ინფორმაციის შესწავლის, მათ შორის, დაარქივებული ვიდეომასალის დათვალიერებით/გააანალიზებით დგინდება, რომ მსჯავრდებულ [redacted] მიმოწერის უფლება არაერთხელ დაირღვა.

კერძოდ, ვიდეომასალის შესწავლის შედეგად, უტყუარად დასტურდება, რომ 2022 წლის 22 ნოემბერს, 2023 წლის 26 და 30 იანვარს, ასევე, 2023 წლის 1 და 13 თებერვალს [redacted] სავარაუდოდ, დაწესებულების სოციალური განყოფილების მუშაკს, სხვა თანამშრომლის თანდასწრებით მიაწოდა კორესპონდენცია, რომელთა დემონსტრირებაც, გადაცემამდე ვიდეოკამერების მხედველობის არეალში მოახდინა, რითიც სცადა მისი მიმოწერის უფლების შესაძლო დარღვევის პრევენცია. აღნიშნულის მიუხედავად, დაწესებულებამ არ უზრუნველყო მისი კორესპონდენციების გაგზავნა. მეტიც, დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, [redacted] მითითებულ დღეებში, სოციალური მუშაკისთვის საერთოდ არ მიუწოდებია არანაირი სახის კორესპონდენცია ან ისინი ბაზაში არ იძებნება.

მართალია, ვიდეომასალაში არ ჩანს, კორესპონდენციის ადრესატი მართლაც იყო თუ არა [redacted] მიერ მითითებული უწყებები/თანამდებობის პირები და შესაბამისად, არც თავად დოკუმენტის შინაარსი იკითხება, თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ კორესპონდენცია რაიმე ტექნიკური ხარვეზის გამო გაგზავნას არ ექვემდებარებოდა, აღნიშნულის შესახებ ინფორმირებული უნდა ყოფილიყო უშუალოდ მსჯავრდებული და შესაბამისი ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო სახალხო დამცველის აპარატშიც ინფორმაციის გამოთხოვის პასუხად. თუმცა, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, დაწესებულება საერთოდ უარყოფს მსჯავრდებულის მიერ სოციალური მუშაკისათვის კორესპონდენციის მიწოდების ფაქტს, რაც ცალსახად არ შეესაბამება სინამდვილეს.

ვიდეომასალიდან ნათლად იკვეთება, რომ სოციალურმა მუშაკმა, თითოეულ ზემოთ მითითებულ შემთხვევაში, ჩაიბარა და წაიღო მსჯავრდებულის მიერ მიწოდებული კორესპონდენცია, რის შედეგადაც, კანონმდებლობის თანახმად, კორესპონდენცია უნდა გაგზავნილიყო შესაბამის ადრესატთან და უმრავლეს შემთხვევაში, არ არსებობდა მისი შეჩერების ან შემოწმების შესაძლებლობაც კი, რადგან, როგორც მსჯავრდებული მიუთითებდა, კორესპონდენციის ადრესატი, მათ შორის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, საქართველოს [redacted] სპეციალური საგამოძიებო სამსახური და საქართველოს [redacted] იყო. დაწესებულებამ კი, აღნიშნული ვალდებულება არ შეასრულა.

საყურადღებო და საგანგაშოა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა კორესპონდენციის ხსენებულ უწყებებში ან სხვა საჯარო დაწესებულებაში გაგზავნის ვალდებულების დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან უგულებელყოფის ფაქტები, ვინაიდან, პატიმარი სახელმწიფოს ეფექტიანი კონტროლის ქვეშ იმყოფება და მას დაუბრკოლებლად უნდა მიუწვდებოდეს ხელი მისი უფლებების დარღვევის ფაქტების შესახებ სახელმწიფო უწყებების ინფორმირების მიზნით, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა ინსტრუმენტზე, მათ შორის, საჩივრის/განცხადების დაუბრკოლებლად გაგზავნის უფლებაზე. მით უმეტეს, როდესაც კორესპონდენციის ადრესატები არიან საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, საქართველოს პროკურატურა/[redacted] და სპეციალური საგამოძიებო სამსახური, დიდია იმის ალბათობა, რომ პატიმარი შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე მიუთითებდეს. ასეთ შემთხვევაში, ხსენებული უწყებების მიერ კომპეტენციის შესაბამისად, ეფექტიანი სამართლებრივი რეაგირების განხორციელების მიზნისთვის, კორესპონდენციის კანონმდებლობით დადგენილი წესით, შეუფერხებლად გაგზავნას/მიღებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. ამდენად, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ კორესპონდენციის გაგზავნის/მიღების უფლების რეალიზება, რიგ შემთხვევებში, პირდაპირ კავშირშია წამებისგან/არასათანადო მოპყრობისგან დაცვის უფლების პრინციპთან.

წინამდებარე საქმე, სამწუხაროდ, კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა მიმოწერის უფლების რეალიზებასთან დაკავშირებით არსებული გამოწვევებისა, რომელზეც სახალხო დამცველის აპარატი წლებია საუბრობს სახალხო დამცველის წლიურ და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის ანგარიშებში.

დასკვნა

ამდენად, N6 პენიტენციური დაწესებულების პასუხისმგებელი თანამშრომლისა და ადმინისტრაციის მხრიდან გამოვლენილი დამოკიდებულება ვერ შეუწყობს ხელს პენიტენციურ სისტემაში ადამიანის უფლებების ეფექტიან დაცვასა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიმართ საზოგადოებაში ნდობის განმტკიცებას. აღნიშნული ფაქტები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ სამწუხაროდ, პენიტენციურ დაწესებულებებში ხშირად ირღვევა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიმოწერის უფლება.

ამრიგად, წინამდებარე საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და კანონმდებლობის ანალიზის შედეგად მიგვაჩნია, რომ N6 პენიტენციური დაწესებულების პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა არ შეასრულეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულება და არ უზრუნველყვეს მსჯავრდებულ [redacted] კორესპონდენციების შესაბამისი ადრესატებისთვის გაგზავნა, რითიც, არაერთხელ დაირღვა მისი მიმოწერის უფლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

მოგმართავთ წინადადებით, მსჯავრდებულ [redacted] მიმოწერის უფლების დარღვევის ფაქტებზე დაიწყოთ დისციპლინური სამართალწარმოება.

ამავე საქმისწარმოების ფარგლებში, გთხოვთ, გამოიკვლიოთ ის გარემოებაც, [redacted] კორესპონდენციების კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციასა და გაგზავნაზე უშუალოდ პასუხიმგებელი პირების მხრიდან დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობა იყო თუ არა ჩადენილი ხელმძღვანელი პირების მხრიდან შესაძლო უკანონო დავალების მიცემის შედეგად.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ლევან იოსელიანი

სახალხო დამცველი